ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრავალი პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 12 (17) 12 IV 1991





## ზვიად გამსახურდია

**მამულიშვილნო,** ქართველნო, გეორგიანნო! ქრისტე აღსდგა! გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ძვირფასო დანო და ძმანო, დე, იყოს ეს დღე დასაწყისი ქართველი ერის კონსოლიდაციისა, ერთ მუშტად შეკვრისა შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ. დღევანდელი დღე ცრემლნარევი სიხარულის დღეა. მართალია, ჩვენ ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე — 9 აპრილს წამებულთა გლოვა, სამაჩაბლოში წამებულთა გლოვა დღესაც გრძელდება, მაგრამ უფალმა მოგვივლინა ეს დღე, ვითარცა დღე ცრემლნარევი სიხარულისა. ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღმრთო სიყვარულისაკენ, საქართველოს გზა ეკლიანი გზაა ქრისტეს ჯვარცმისა, დაფვლისა და გარდაუვალი აღდგომისა. ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთსიყვარული, დიდი პატიება, მიტევება, რამეთუ არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს. გავხედოთ იმ მძიმე გზას, რომელიც გველოდება და მოითხოვს ჩვენგან დიდ დარაზმულობას, შრომას, ურთიერთგატანას ამ უდიადეს ჟამს.

ქრისტიანულად ვიდოდით ჩვენ ისტორიის უძნელეს გზაზე და მუდამ ქრისტეს მცნების ერთგულებით ვიაროთ. რელიგიამ და ზნეობამ მოიყვანა დღევანდელ დღემდე ქართველი ერი.

ჩვენ გავიმარჯვებთ!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!



ვარლამ ბენზიურის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თენგიზ სიგუა

**ძვირფასო** თანამემამულენო, საქართველოს სისხლით ნაწერ ისტორიაში დღეს კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს თავისუფლების აღდგენის დღედ დარჩება ჩვენს ნაწვალებ ისტორიაში. მე მინდა ჩვენს ერს მივულოცო ეს ბრწყინვალე დღე. ნიშანდობლივია, რომ ეს შესანიშნავი აქტი 9 აპრილს შედგა. ორი წლის წინ სწორედ ამ დღეს, ამ მოედანზე დაიღვარა ქართველ ძამულიშვილთა უმანკო სისხლი. იმ სისხლით არის დაწერილი დღევანდელი ისტორია ჩვენი.





# აკაკი ასათიანი

**გამარჯვებით,** ქართველებო! ვინ თქვა, რომ ჩვენ ცოტანი ვართ — შეხედეთ, რამდენი ვართ, ძმებო! ათასგზის ამაზე მეტნი ვართ. ახლა ჩვენთან არიან ჩვენი წინაპრები. ჩვენ ყოველთვის ასე ვიქნებით გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს. ყველა, ვინც კი დაცემულა ჩვენი სამშობლოსათვის, ვისაც კი თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაულევია სული, ყველა ჩვენთან ერთად არის, ძმებო! ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ. ამ დღეს მოვესწარით. ჩვენ მოვიტანეთ ეს დღე. უბედნიერესი ხალხი ვართ, ღმერთმა გამოგვარჩია. დაგვასაჩუქრა ამ ბედნიერებით — ამ ბრძოლით, ამ ომით, ამ გამარჯვებით. ამას წინ ველარაფერი დაუდგება. ძმებო, ველარაფერი და ველარასოდეს! ჩვენ გავიმარჯვეთ.

ახლა ზეციდან დაგვცქერის დავით აღმაშენებელი, ილია, ვაჟა, მერაბი! — თავისუფლების ჟამი მოვიდა. ან ახლა, ან ალარასოდეს. სხვა დრო აღარ იქნება. ეს არის ჟამი, რომელსაც ნატრობდა ყველა ქართველი. ჩვენ გვერგო ეს ბედნიერება, ვიყოთ ამის ღირსი, ამ დღის ღირსი, ჩვენი მიწის ღირსი, ამ ცის ღირსი, ჩვენი წინაპრების ღირსი! შეიძლება გაგვიჭირდეს ფიზიკურად, მაგრამ სულიერად ჩვენ აღარასოდეს აღარ გაგვიჭირდება. შეხედეთ ერთმანეთს, როგორები ვართ, ხალხნო! აღდგა ჩვენი ჯიშიც, გავლამაზდით, წელში გავიმართეთ. ადამიანებს დავემსგავსეთ, იმათ დავემსგავსეთ, ჩვენს წინაპრებს, ფრესკებზე რომ ხატია! იმათ ვგევართ ახლა ჩვენ, ისევ ისინი ვართ, ისევ ქართველები ვართ, ისევ ამაყად ვყივით. გაუმარჯოს ამ დღეს, გაგიმარჯოთ თქვენ, კიდევ ერთხელ, ქართველო ერო, გაგიმარჯოს უძლეველო, დაუძლეველო, გამარჯვებულო! ჩვენ აღვადგენთ ძველ საქართველოს!



# საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველნი, კაცნი და ქალნი, არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, წერწეტნი, განსაკუთრებით ქალნი, იშვიათად სქელნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერ, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, ასე რომ ზოგნი 33 ჟჲს თორმეტ საათში გაირბენს.

ლაშქარში არიან ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი, სტუმართა და უცხოთა მოყვარენი, მხიარულნი, ასე რომ თუ ორნი ან სამნი არიან, არაფერს შეიქცევიან, უხვნი, საუნჯეთა არა მესველნი, გონიერნი, მსწრაფლი-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი, ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-გოროტზე ადვილად მიმდევნი, დიდების მოყვარენი, თვალ-მგზნი, მოთაკილენი.

ვახუშტი ბატონიშვილი





საქართველოს ისტორია დამპყრობელთან განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა. ჩვენს გარშემო არ ყოფილა არც ერთი დიდი იმპერია, რომელსაც საქართველოსთვის არ ევნოს, ასურეთიდან დაწყებული — საბერძნეთი, რომი, სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, თურქეთი, მონღოლეთი, რუსეთი... თუნდაც ერთ ასეთ იმპერიას თავისუფლად შეეძლო საქართველოსოდენა ქვეყანა საბოლოოდ გაენადგურებინა და გადაეშენებინა. ისტორიამ ამის მაგალითები მრავლად იცის. მაგრამ ჩვენს გარშემო იმპერიები იქცეოდნენ, ჩვენ კი ვრჩებოდით და ვინარჩუნებდით სულს, ენას, ხასიათს, სარწმუნოებას, ეროვნულ მთლიანობას. ხატი ერის სულიერებისა, რომლის არსი, უპირველეს ყოვლისა, ენაზე აღიბეჭდება, 20 საუკუნის მანძილზე უცვლელი რჩება. მსგავს პრეცედენტს არ იცნობს მსოფლიო.







ევროპასა და აზიას შორის მოქცეული საქართველო თავის ამ სამყაროსაგან განსხვავებულ, თავისთავად, თვითმყოფად კულტურას ქმნის, რომელიც არ ჰგავს არც ერთი სხვა ქვეყნის კულტურას. ის გამორჩეულია თუნდაც იმით, რომ აქ არ არსებობს განსხვავება ელიტარულ და ხალხურ შემოქმედებას შორის. მხატვრულად ერთნაირად დაწერილია „ვეფხისტყაოსანი" და „ვეფხისა და მოყმის ამბავი", გალაკტიონის ლექსი და „მრავალჟამიერი", ალავერდი და სვანური კოშკი.

















ლამაზი ქვეყანა ბევრია დედამიწაზე, მაგრამ არც ერთს არა აქვს ის მრავალფეროვნება, რომელიც საქართველოს გამოარჩევს. აქ ზღვაც არის, მთაც, ბარიც, მდორე და ჩქარი მდინარეები, ყინულოვანი მწვერვალები, გადაშლილი, ფართე მინდვრები, ფერდობებზე შეკიდებული ვენახები... ყოველ ნაბიჯზე იცვლება ბუნება. თუ მთელი საქართველო არ გაქვთ მოვლილი, ვერ იტყვით, რომ გინახავთ ეს ქვეყანა, იმდენად არ ჰგავს ერთი კუთხე მეორეს. საქართველოს ადგილმდებარეობაც გამორჩეული აქვს, ის ევროპის და აზიის საზღვარზეა მოქცეული — ამრიგად, ევროპაც არის და აზიაც. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის განუმეორებლობას. თითქოს საქართველო მსოფლიოს მცირე მოდელს ქმნიდეს თავისი ბუნებრივი მრავალფეროვნებით.

საქართველომ ქრისტიანობა მიიღო გულით, მთელი არსით, უმთავრესი — შეისისხლხორცა... ამიტომ არ ყოფილა საქართველოში არასდროს რელიგიური ფანატიზმი, მწვალებლობა, ინკვიზიცია, სექტანტობა. ქრისტეს მცნების რწმენა ქართველისათვის სრულყოფილი ცხოვრების აუცილებელი პირობა გახდა. ამ რწმენამ ბუნებრივად გამოხატა მისი სულის არსი — სწრაფვა სიყვარულისა და პატიებისაკენ.

საქართველოს ძალა მისი მარადიული ერთიანობაა. ჩვენ უწყვეტ მთლიანობაში განვიცდით მთელ ჩვენს ისტორიას. აქ არასოდეს გაწყვეტილა ძაფი წარსულსა და აწმყოს შორის — ჩვენ ვიყავით ყოველთვის, ვართ დღესაც და ვიქნებით მარად. ამ მთლიანობას ვერაფერი დაარღვევს — საქართველო უძლეველია.













ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევან ურუშაძე

# ქართველები ევროპის ჯარში

## (1920-1940-იანი წლები)

**საფრანგეთი.** საფრანგეთის უახლესი სამხედრო ხელოვნების ისტორიასაც ამშვენებს არაერთი ღირსეული ქართველის სახელი. ქვემოთ მოვიყვანთ ცნობებს ზოგიერთი მათგანის შესახებ. მანამდე კი მკითხველებს გავაცნობთ იმ მონაცემებს, რომლებიც შეგვკრებია ჩვენს პარიზელ თანამემამულეს, თავად საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ვეტერანს ბატონ შოთა ბერეჟიანს.

1940 წლის მარტში საფრანგეთის არმიის მთავარსარდლობის განკარგულებით შეიქმნა უცხოური ლეგიონის სპეციალური შენაერთი, რომელიც თითქმის მთლიანად ქართველებით დაკომპლექტდა. მას ქართული ასეული ეწოდა. მისი ფორმირება მომხდარა საფრანგეთის ქ. ბარკარესში. შენაერთის მეთაურად დანიშნეს იმხანად საფრანგეთის არმიის კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე. მასთან ერთად ნაწილში გაამწესეს უცხოური ლეგიონის ოფიცრები: კონსტანტინე (კოტე) ამილახვარი, ლევან (ლეო) კერესელიძე (უცროსი), ა. კალტნისი-ჩიქოვანი და სხვანი. მალე, საფრანგეთის არმიის მარცხის შემდეგ, ასეულის დიდი ნაწილი გ. ოდიშელიძის მეთაურობით აფრიკაში გადაიყვანეს. მეორე (მცირე) ნაწილი კი ქ. მონტობანში განამწესეს.

ასეულის შემადგენლობაში გ. ოდიშელიძისა და ლეიტენანტების: ა. სტაროსელსკის, კ. ამილახვარის, ა. კალტნის-ჩიქოვანის, ლ. კერესელიძის გარდა ირიცხებოდნენ: სერჟანტები — ალ. ბერაძე, პ. ოდიშარია, ალ. რუხვიაშვილი, გ. აბულიძე, შ. ხიზანიშვილი, ნ. ელიავა, ა. ფარეიშვილი, ვ. ბარკალაია. კაპრალები — გ. მამულაშვილი, შ. თაქთაქიშვილი, გ. ვაჩნაძე, ს. დონდუა, გ. ბერიძე, ნიკ. ამილახვარი, ალ. დონდუა, ჯარისკაცები — ალ. ალანია, აკ. ამირეჯიბი, გ. ბერაძე, შ. ბერეჟიანი, დიმ. სხირტლაძე, ფ. პეტრიაშვილი, ალ. ტარასაშვილი, კას. საბახტარაშვილი, ვას. ზუბალაშვილი, კას. დარაშვილი, ილ. ზედგინიძე, გ. გრიგოლაშვილი, ივ. მამულაშვილი, ირ. ჯაფარიძე, შ. კაკიტელაშვილი, ზ. აბაშიძე, ივ. ზარიძე, რუბ. მარტიროსიანი, გრ. ჯანიევი (ჯანიაშვილი), ირ. კალანდარიშვილი, ბიძ. ერისთავი, ელ. მაყაშვილი, დ. მაყაშვილი, ბ. ელიავა, შ. გელაშვილი, დ. ციციშვილი, დიმ. მახარაშვილი, ირ. ზედგინიძე, ევგ. მიროტაძე, ს. ახალკაცი, გ. გიოშვილი, კ. ჯაყელი, დიმ. უხურგუნაშვილი, ევტ. აბულაძე, ო. ჩიჯავაძე, ილ. კვინიხიძე, ა. მელაძე, პ. საბაშვილი, ამბ. ჩილიკავა (?), ნ. ამილახვარი, ს. დონდუა, ვ. კაკიტელაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მებრძოლთაგან ელიზბარ მაყაშვილი, რომელიც ამჟამად ცხრა ათეულ წელსაა გადაცილებული, გახლავთ საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ახლო ნათესავი და მეგობარი, მისი „შეფიცულთა რაზმის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ცნობილია, როგორც ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ლიტერატორი. ელიზბარ მაყაშვილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი უხუცესი წევრია. ამჟამად ცხოვრობს პარიზის მახლობლად, მოხუცთა სახლში.

მთელს ქართულ ემიგრაციაში ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ ქართული ასეულის სხვა წარმომადგენელიც — ევტიხი აბულაძე.

საფრანგეთის არმიის ერთ-ერთი სახელოვანი ოფიცერი, ნიჭიერი მხედართმთავარი გახლდათ ფრანგული ჯარის კოლონელი (პოლკოვნიკი) **დიმიტრი გიორგის ძე ამილახვარი (1905-1942)**, — „ბაზორკად“ წოდებული. ეს ზედსახელი შეარქვეს, რადგან იგი თერგის ოლქში იყო დაბადებული.

1922 წლიდან ამილახვრების ოჯახი საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც 21 წლის დიმიტრიმ 1926 წელს დაასრულა საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი — „სენ-სირი“-ს ცნობილი აკადემია. იმავე წელს ლეიტენანტი ამილახვარი გაიგზავნა აფრიკის კოლონიალურ ნაწილებში, უცხოური ლეგიონის შემადგენლობაში. აქ მან თავი ისახელა არაერთ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში.

1940 წლის მაის-ივნისში იგი იყო ნარვიკის ცნობილი ბრძოლის აქტიური მონაწილე, რისთვისაც საბრძოლო ჯვარი დაიმსახურა. იმხანად იგი უკვე საფრანგეთის არმიის მაიორი გახლდათ.

საფრანგეთის გერმანელთა მიერ ოკუპაციის შემდეგ დიმიტრი ამილახვარი ლონდონში ჩავიდა და ჩაირიცხა გენერალ შარლ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის“ არმიაში. ამ არმიის შემადგენლობაში იგი მონაწილეობდა ერიტრეის კამპანიაში — თავი ისახელა ქ. მასაუს აღებისას, რომლის დროსაც ხელთ იგდო იტალიელთა რამდენიმე სავსკადრო ნაღმოსანი და რამდენიმე ათეული ტყვე, რისთვისაც 1941 წლის აპრილში კიდევ ერთი მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ამის შემდეგ დ. ამილახვარი მონაწილეობდა სირიის კამპანიასა და ქ. დამასკოს აღებაში. ყოველივე ამისათვის ქართველმა ოფიცერმა იმავე წლის გაზაფხულის დამლევს მიიღო საფრანგეთის არმიის კოლონელის (პოლკოვნიკის) მაღალი სამხედრო წოდება. იმავდროულად დაინიშნა ლეგიონის ნახევარბრიგადის მეთაურად. ნახევარბრიგადა ირიცხებოდა გენერალ კენიგის ლეგიონში და მის უმსხვილეს შენაერთს წარმოადგენდა.

ამილახვრის შენაერთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სახელგანთქმული გერმანელი გენერლის რომელის არმიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. კერძოდ, მან უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია რომელის არმიას და შეაჩერა მისი წინსვლა ე. წ. „15 დღიან ბრძოლაში“ (1942 წლის 26 მაისი — 10 ივნისი), რისთვისაც გენერალმა დე გოლმა დ. ამილახვარი მხედრული წარჩინების ერთ-ერთი უმაღლესი ნიშნით — „განთავისუფლების ჯვარით“ დააჯილდოვა.

1942 წლის 24 ოქტომბერს, ელ-ალამეინის ბრძოლაში კოლონელი დიმ. ამილახვარი სასიკვდილოდ დაიჭრა. დაკრძალულია იგი ლიბიის უდაბნოში.

სიკვდილის შემდეგ მას საპატიო ლეგიონის კავალერის უმაღლესი წოდება მიეკუთვნა.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით „სენ-სირი“-ს სამხედრო აკადემიის 1954-56 წლების გამოშვებას მიენიჭა კოლონელ ამილახვრის სახელი, რაც საფრანგეთში უმაღლეს სამხედრო პატივად ითვლება.

საფრანგეთის არმიის სახელგანთქმულ ქართველ ოფიცერთა პლეადას ეკუთვნის კოლონელი **გიორგი ოდიშელიძე (1899-1970)**. დაიბადა იგი თელავის მაზრაში, დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და კადეტთა სამხედრო სასწავლებელი.

1920-1921 წლებში გ. ოდიშელიძე იყო თბილისის ქართული სამხედრო სკოლის (იუნკერთა სკოლის) პედაგოგი—ზემდეგი. 1921 წლის თებერვალში სკოლის მთელ შემადგენლობასთან ერთად იგიც გაიგზავნა ტაბახმელასთან მოსულ წითელ ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმის ოსმალო ასკერთაგან განთავისუფლებაშიც.

საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ იგი საფრანგეთში გადაიხვეწა. აქ გ. ოდიშელიძე ჩაირიცხა „სენ-სირი“-ს სამხედრო აკადემიაში, რომლის დასრულებისთანავე მიიღო ლეიტენანტის წოდება და უცხოურ ლეგიონში იქნა გამწესებული. ამის შემდეგ მან უმაღლესი სატანკო სასწავლებელიც დაამთავრა. დაინიშნა ქ. ნანსის 513-ე სატანკო ათასეულის ასეულის მეთაურად. რამდენიმე წლის შემდეგ გადაჰყავთ საინჟინრო შენაერთებში.

1926 წელს გ. ოდიშელიძე გაიგზავნა ლიბანში ქ. ბეირუთის მახლობლად და დაინიშნა ბრიგადის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსად. 1937 წელს კაპიტანი ოდიშელიძე გააგზავნეს მაროკოში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1940 წლის მარტის დამლევს დაინიშნა უცხოური ლეგიონის ქართული ასეულის მეთაურად ქ. ბარკარესში. 1941 წლის დამლევიდან ორი წლის მანძილზე მაიორი ოდიშელიძე ასრულებდა საფრანგეთის არმიის საჰაერო ჯარების კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსის მოვალეობას.

1944 წელს გ. ოდიშელიძეს მიენიჭა საფრანგეთის არმიის კოლონელის (პოლკოვნიკის) სამხედრო წოდება.

1945 წელს ქართველი კოლონელი მიწვეულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტელე-რადიო კომუნიკაციების სამსახურის ხელმძღვანელად. თადარიგში გავიდა 1947 წლის დამლევს სამხედრო სამინისტროს სრული პენსიით.

გიორგი ოდიშელიძეს მხედრული დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი მაღალი სამხედრო ჯილდო, მათ შორის: საპატიო ლეგიონის კავალერის უმაღლესი წოდება და ორდენი, ოთხი საბრძოლო ჯვარი, „დიდი კომანდორის“ ოქროს ჯვარი და ათი მედალი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ოდიშელიძე იყო საქართველოს ეროვნული არმიის მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის სიძე.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

გარდაიცვალა გიორგი ოდიშელიძე 1970 წლის 17 აპრილს 71 წლის ასაკში. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ასევე ცნობილი ოფიცერი, ყოფილი იუნკერი იყო კოლონელი **ნიკოლოზ თოხაძე (1901-1975)**. თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ დაამთავრა ქართველ ოფიცერთა სამხედრო სკოლა (იუნკერთა სასწავლებელი). იყო 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და ბათუმის თურქ დამპყრობთაგან განთავისუფლების აქტიური მონაწილე.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გადავიდა ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საფრანგეთში, სადაც 1925 წელს დაამთავრა „სენ-სირი“-ს სამხედრო აკადემია. იმავე წელს ლეიტენანტის წოდებით გაამწესეს უცხოეთის ლეგიონში. 1934 წელს მიენიჭა კაპიტნის, მცირე ხნის შემდეგ მაიორის, ხოლო 1958 წელს კოლონელის სამხედრო წოდებანი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ნიკოლოზ თოხაძე იყო ალჟირსა და მაროკოში წარმოებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის აქტიური მონაწილე. 1941-1946 წლებში ათასეულის მეთაურად მსახურობდა ინდო-ჩინეთში, 1948-1952 წლებში მადაგასკარში, 1953-1956 წლებში კი ბრიგადის მეთაური იყო მაროკოში. შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე მსახურობდა ვენსენის უცხოური ლეგიონის შტაბის უფროსად.

დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის კოლონელ ნ. თოხაძეს მიღებული ჰქონდა საფრანგეთის მხედრული წარჩინების უმაღლესი ნიშნები: საპატიო ლეგიონის სრული კავალერის წოდება და ორდენი, „დიდი კომანდორი“-ს ოქროს ჯვარი და მრავალი მედალი.

1960-იანი წლების დამდეგიდან, თადარიგში გასვლის შემდეგ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში. არჩეული იყო ქართველ ყოფილ იუნკერთა კავშირის გამგეობის უცვლელ წევრად და ერთხანს ამ კავშირის თავმჯდომარედ. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ პრესაში.

გარდაიცვალა ნიკოლოზ თოხაძე 1975 წელს, 74 წლის ასაკში. განისვენებს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იყო ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის ვაჟი, საფრანგეთის არმიის კოლონელი **ალექსი ჩხენკელი (1905-1985)**. მან 20 წლისამ 1925 წელს დაასრულა „სენ-სირი“-ს აკადემია (შევალიე ბაიარის გამოშვება). იმავე წელს ლეიტენანტის წოდებით ჩაირიცხა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში.

ალ. ჩხენკელის სამხედრო კარიერა მაროკოში დაიწყო. შემდგომში ასეულისა და ათასეულის მეთაურად მსახურობდა ალჟირსა და ინდოჩინეთში. მეორე მსოფლიო ომის წლებში იგი მონაწილეობდა ნარვიკის ცნობილ სამხედრო-საზღვაო ექსპედიციაში.

საფრანგეთის არმიის დამარცხების შემდეგ იგი დიმ. ამილახვართან ერთად ლონდონს გაემგზავრა და შეუერთდა გენერალ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის“ არმიას. ამის შემდეგ შენაერთების მეთაურად მსახურობდა ერიტრეაში, ლიბიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში. დიდია ა. ჩხენკელისა და მისი შენაერთის დამსახურება გენერალ რომელის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ალექსი ჩხენკელს მიენიჭა საფრანგეთის არმიის კოლონელის წოდება და იგი დაინიშნა ლიბიაში განლაგებული ბრიგადის მეთაურად.

სამხედრო სამსახურიდან იგი 1950-იანი წლების შუა ხანებში გადადგა, რის შემდეგაც მეუღლესთან — ქეთევან ვაჩნაძესთან და ქალ-ვაჟთან ერთად საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. მოღვაწეობდა როგორც სამოქალაქო ინჟინერი, არჩეული იყო აშშ-ის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად.

მხედრული დამსახურებისათვის ალ. ჩხენკელს მიღებული ჰქონდა: საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება და ორდენი, „განთავისუფლების ჯვარი“, აშშ-ის ორდენი „ბრონ სტრი“, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ორდენი „მილიტერ კრონი“ და მრავალი სხვა ჯილდო.

გარდაიცვალა იგი 80 წლის ასაკში, 1985 წელს. მისი ცხედარი საფრანგეთის უცხოური ლეგიონის საპატიო ყარაულის თანდასწრებით ლევილის მიწას მიბარდა.

საფრანგეთის არმიასთან იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის უკანასკნელი მარშლის, 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გენერალ კოტე აფხაზის ვაჟის, დიდი ილია ჭავჭავაძის დის შვილიშვილის, საფრანგეთსა და კანადაში ცნობილი იურისტისა და საზ. მოღვაწის **ნიკოლოზ (ნიკო) აფხაზის (1900-1988)** ცხოვრების რიგი წლები.

დამთავრებული ჰქონდა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია და გახლდათ ქართული ეროვნული არმიის ოფიცერი. საქართველოს ოკუპაციისა და 1923 წელს კოტე აფხაზის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ დედა-შვილი ელენე და ნიკო აფხაზები საფრანგეთს გაიხიზნენ. აქ ნიკომ წარმატებით დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მცირე ხნის შემდეგ მოიპოვა დოქტორის ხარისხი და საადვოკატო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. როგორც ოფიცერი რამდენიმე წლის მანძილზე სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა უცხოეთის ლეგიონში.

მეორე მსოფლიო ომის წინ კვლავ გაიწვიეს უცხოურ ლეგიონში. მონაწილეობდა ალჟირსა და ლიბიაში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში, რის შედეგადაც რამდენიმე მაღალი ჯილდო დაიმსახურა.

ომის მიწურულს ნიკო აფხაზი გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. განთავისუფლებიდან მცირე ხნის შემდეგ მან დატოვა საფრანგეთი და კანადაში გადასახლდა. აქ მან ცოლად მოიყვანა კანადის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მდიდარი მემამულის ასული პეგი. ამის შემდეგ ნ. აფხაზმა ვიქტორიაში შეიძინა დიდი მამული — მოზრდილი სასახლე უშველებელი და ულამაზესი ბაღით. ეძლეოდა პირად მეურნეობას და პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ საადვოკატო მოღვაწეობას.

გარდაიცვალა ნიკოლოზ აფხაზი 88 წლის ასაკში, 1988 წელს. დაკრძალულია ვიქტორიაში.

ყოფილი იუნკერი, კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებისა და ბათუმის ოსმალთაგან განთავისუფლების მონაწილე, საფრანგეთის არმიის თვალსაჩინო ოფიცერი იყო კოლონელი **ალექსანდრე კიწურაშვილი (1900-1976)**.

„სენ-სირი“-ს აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს იგი ლეიტენანტის წოდებით უცხოურ ლეგიონში გაამწესეს. სხვადასხვა დროს ჩრდილოეთ აფრიკასა და მაროკოში მეთაურობდა ასეულსა და ათასეულს, იყო ნახევარბრიგადის მეთაურის მოადგილე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროისათვის ალ. კიწურაშვილი მაროკოში მსახურობდა. მაროკოს მოჰყვა ალჟირი და ლიბია. აქტიურად მონაწილეობდა ელ-ალამეინის ცნობილ სამხედრო ოპერაციაში, რისთვისაც „განთავისუფლების ჯვარი“ დაიმსახურა. მეორე მსოფლიო ომის წლებშივე მიიღო მანჯერ კომანდანის, შემდეგ კი კოლონელის მაღალი წოდებები.

მხედრული დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა სხვა უმაღლესი ჯილდოებიც: საპატიო ლეგიონის ორდენი, „დიდი კომანდორის“ ჯვარი, რამდენიმე ბრიტანული ორდენი და მრავალი მედალი.

თადარიგში გავიდა 1950-იანი წლების დამლევს. შემდეგ კი დაინიშნა პარიზის ქართული ოფისის დირექტორად (ამ თანამდებობაზე მან შეცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე პიპიკო (სოსიპატრე) ასათიანი).

ალექსანდრე კიწურაშვილი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, 1975 წლის 25 ივნისს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრო საფრანგეთის უცხოური ლეგიონის საპატიო ყარაული, საფრანგეთის არმიის ვეტერანთა სახელით სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, გენერალმა ჟან ოლიემ.

ყოფილი იუნკერი და კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების აქტიური მონაწილე გახლდათ შემდგომში საფრანგეთის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, უცხოური ლეგიონის მაიორი **ალექსანდრე ჯინჭარაძე (1900-1970)**.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ იუნკერთა ერთ ნაწილთან ერთად იგი საფრანგეთში გაიხიზნა. 1921 წელსვე ჩაირიცხა „სენ-სირი“-ს სამხედრო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1925 წელს. აკადემიის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა ლეიტენანტი უცხოურ ლეგიონში ჩარიცხეს. სხვადასხვა დროს (მათ შორის მეორე მსოფლიო ომის წლებში) მსახურობდა ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოში, ალჟირსა და ლიბიაში. იყო ელ-ალამეინის ბრძოლების აქტიური მონაწილე. თანმიმდევრულად მეთაურობდა ასეულს, ათასეულს, ხელმძღვანელობდა ბრიგადის შტაბს.

მხედრული დამსახურებისათვის ალექსანდრე ჯინჭარაძე დაჯილდოებული იყო საპატიო ლეგიონის ორდენითა და „დიდი კომანდორის“ ჯვრით, რამდენიმე ბრიტანული და ფრანგული მედლით.

1950-იანი წლების დამდეგიდან, სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ალ. ჯინჭარაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. არჩეული იყო აშშ-ის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად და პასუხისმგებელ მდივნად. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ გაზეთ „ქართულ აზრში“.

გარდაიცვალა იგი 1970 წლის 7 სექტემბერს. დაკრძალულია ნიუ-იორკში.

**გერმანია.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანიის არმიის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა ქართული ლეგიონი. წინამდებარე წერილის შესავალში ისიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ, მიუხედავად ნაცისტური არმიის შემადგენლობაში არსებობისა, ხსენებული ლეგიონის ქართული ხელმძღვანელობა (გენერალ შალვა მაღლაკელიძის თავკაცობით) და შემადგენლობა არასდროს მიზნად არ ისახავდა ცხოვრებაში ნაცისტური დოგმების გატარებას ან რომელიმე ერის დისკრიმინაციას. არა, მათი მთავარი მიზანი საქართველოში ბოლშევიკური

**დასასრული.**

**დასაწყისი იხ. № 11 (16).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტალიტარული რეჟიმის დამხობა და 1921 წელს დაკარგული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გახლდათ. გერმანიის არმია კი კონკრეტულ იარაღად მიაჩნდათ ამ მიზნის განხორციელებისათვის. რად ღირს თუნდაც იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ მათი მოღვაწეობის შედეგად გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან დახსნილი იქნა ასობით ქართველი ტყვე. თუმცა, ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი დევნისა და საბჭოთა მთავრობის მხრიდან გარდუვალი რეპრესიების შიშით უკან აღარ დაბრუნებულან!

ქართველ სამხედრო ტყვეთა დახსნის მამულიშვილურ საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გენერალ შალვა მაღლაკელიძის (რომელიც 1947 წელს მოიტაცა საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ და რომელიც მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ წლების მანძილზე რუსთავში მოღვაწეობდა), პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის, ობერ-ლეიტენანტ გივი გაბლიანის (იგი მოგვიანებით ნატო-ს ჯარების სამედიცინო სამსახურის გენერალი გახლდათ), ობერ-ლეიტენანტ მიხეილ კედიას, ლეიტენანტების ავთანდილ ურუშაძის, კაკო ალშიბაიას, დავით მარჯანიშვილის, მ. დადიანის, ასმეთაურების გ. მაღლაკელიძის, დ. ონიაშვილის და სხვათა დიდი დამსახურება. ამ საქმეს ემსახურებოდა ლეგიონის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი სპეციალური ორგანო „ქართველ სამხედრო ტყვეთა სამმართველო“-ს სახელწოდებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის მოღვაწეობა, რომლის სახელსაც დღემდე ტაბუ ჰქონდა დადებული. იგი გახლდათ ფართოდ ცნობილი ფიზიკოსი და პოლიტოლოგი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის პროფესორ ივანე (იოჰან) ნიკურაძის ძმა.

ალ. ნიკურაძე იყო მთელს მსოფლიოში ცნობილი სოვეტოლოგი, ფიზიკის დარგის ფუნდამენტური შრომების ავტორი, მიუნჰენის აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტისა და სსრკ-ის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მისი დაწინაურება გერმანიაში მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი უახლოესი მეგობრის, აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა რეიხსმინისტრის ფონ როზენბერგის მხარდაჭერამ და ქართველი სწავლულისადმი ამ უკანასკნელის დიდმა პატივისცემამ. ბალტიისპირული წარმოშობის როზენბერგსა და ნიკურაძეებს შორის მეგობრობა ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ფონ როზენბერგი აქტიურად მონაწილეობდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოგვარებასა და ჩვენი ქვეყნის გერმანელთა მიერ ოფიციალურად აღიარებისათვის ნიადაგის მომზადებაში.

პროფესორი ნიკურაძე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი, მინისტრის მთავარ მრჩევლად ითვლებოდა. სწორედ მის ინსტიტუტს ევალებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და მეტადრე საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობებისათვის (მათ შორის სამხედრო პოლიტიკის დარგშიც) რეკომენდაციების შემუშავება. ინსტიტუტის დირექტორი კი ოფიციალურად ითვლებოდა ამ საკითხების მთავარ ექსპერტად.

გერმანიაში და ქართულ ემიგრანტულ პრესაში (ჟ. „ქართლოსი“ და სხვ.) სანდერსის ფსევდონიმით გამოიცა და გამოქვეყნდა მისი არაერთი საყურადღებო ნაშრომი აღმოსავლეთ ევროპის უახლესი პოლიტიკური ისტორიის დარგში. მათ შორის აღსანიშნავია სქელტანიანი გამოცემები „აღმოსავლეთ ევროპა“ და „კავკასია“.

გერმანიის არმიის ქართულ ლეგიონში გარდა ზემოხსენებული გენერლისა და ოფიცრებისა, ირიცხებოდნენ: კ. გულბანი, მადაურიძე, ვ. ურდოელი, შ. სარჯველაძე, ტ. ბარათელი, გ. გომარელი, გომართელი, შ. გვასალია, დ. მეტრეველი, რ. ფარძიანი, კ. კიკვიძე, გ. მრელაშვილი, ვლ. ციბაძე, თ. ზარიძე, შ. ინჯია, ი. ირემაშვილი, თ. ირემაძე, გ. კანკავა, ი. კუჭუძე (?), კ. კოზირია, ისკ. მეგრელიძე, ვ. მონიავა, გ. სანთელაძე, ხ. ქოჩაკიძე, ვ. ჩიკაშუა, კ. წილოსანი და მრავალი სხვა (ზუსტი რიცხვის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია, რამეთუ ლეგიონში შედიოდი ორი თუ სამი ათასეული. ამ საკითხს არკვევს საფრანგეთისა და გერმანიის ქართული სათვისტომოების კომპეტენტური ჯგუფი).

ლეგიონი ბერლინში უშვებდა გაზეთ „საქართველო“-ს, რომელშიც გარდა ლეგიონერებისა, აქტიურად თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, ისიდორე მანწკავა და ა. შ.

ქართულ სამხედრო თუ ინტელექტუალურ ძალთა კონსოლიდაციისა და ერთიანი მოქმედებისათვის 1942 წლის დამლევს მიხ. წერეთლის ხელმძღვანელობით მოქმედი ეროვნული კომიტეტის ბაზაზე ბერლინში ჩამოყალიბდა ქართული საკავშირო შტაბი პროფ. მიხეილ წერეთლის, პროფ. ალ. ნიკურაძის, გივი გაბლიანის, მიხეილ ალშიბაიას, მიხეილ კედიას და გ. მაღალაშვილის ხელმძღვანელობით.

შტაბის მიზნებს შეადგენდა: 1. ქართული ლეგიონის შემადგენლობისა და მოხალისეთა ასეულების პოლიტიკური აღზრდა; 2. ზრუნვა გერმანიაში მცხოვრებ ქართველებსა და ქართველ ყოფილ სამხედრო ტყვეებზე; 3. ქართული ტყვეებისათვის სულიერი და მატერიალური მზრუნველობის აღმოჩენა.

შტაბის მოღვაწეობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყვედყოფილ ქართველ მუშათა მდგომარეობა., შედგა გერმანიაში მოხვედრილ ქართველ ტყვეთა სრული სარეგისტრაციო ნუსხა და მათი დიდი ნაწილი გამოხსნილ იქნა ტყვეობიდან.

შტაბის მოწოდებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ როგორც შტაბის ისე გერმანიის ქართული ლეგიონისა და მოხალისეთა რაზმების, მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უზენაეს მიზანს საქართველოს ბოლშევიკური უღლისგან განთავისუფლება, ქართული საერთო ეროვნული საქმისათვის უანგარო სამსახური შეადგენს.

ქართული ეროვნული კომიტეტი ხსენებულ შტაბთან და ქართული ლეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ბერლინში უშვებდა ჟურნალ „ქართველ ერს“, რომლის თითოეული ნომერი გაჟღენთილია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ: მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ყიფიანი, გ. დიასამიძე, დავით სალიაშვილი, ვიქტორ ნოზაძე, შალვა მაღლაკელიძე, ლეო კერესელიძე, სპირიდონ კედია, გიორგი ქურული, მიხეილ ალშიბაია, ალექსანდრე მანველიშვილი და სხვა სახელოვანი მოღვაწენი.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ყოვლად დაუშვებელია ქართველთა გერმანულ ჯარში და მეორე მსოფლიო ომის ხანის გერმანიაში მოღვაწეობის ცალსახად შეფასება, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი. ეს გახლდათ ქართველი ერის ტრაგიკული ბედის ერთი მკაფიო გამოვლინება, მოვლენა, რომელიც რეალურად ქართველი ერისადმი, ქართული საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ყოველი ჭეშმარიტი ისტორიკოსის ვალია ნებისმიერი ისტორიული მოვლენისადმი ობიექტური, მიუკერძოებელი მიდგომა.

ამდენად, ამ მოკლე მიმოხილვაში შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ქართველ მკითხველთათვის შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა ევროპის არმიებში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეთა შესახებ. ამასთან, წინამდებარე წერილი გახლავთ საინფორმაციო ხასიათისა და მას არა აქვს მკაცრი სამეცნიერო გამოკვლევის პრეტენზია. საკითხი კი გახლავთ საკმაოდ მოცულობითი, ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის შეუსწავლელი. თავის მკვლევართ ელის ქართულ ემიგრანტულ პრესაში, ლიტერატურასა და მდიდარ საარქივო ფონდებში გაბნეული დიდძალი მასალა, რომლის ზედმიწევნით შესწავლა ქართული ისტორიული მეცნიერების წმინდა მოვალეობაა.

---

**ქართველებო!** ახლა, როდესაც ჩვენი წინაპრების სულთა ზეიმია, მომხდურმა ურდოებმა სამაჩაბლოში აგვიოხრეს მამული, დაგვიწვეს სახლ-კარი, ცოცხლადაც დაგვწვეს. მაგრამ არ იკმარა... ეკლესიები დაწვეს. შეეხნენ უშინაგანესს — სულს.

უღმერთომ არ უწყის, რომ სული უკვდავია, მაგრამ იმას კი ხვდება, სად უნდა გაგტეხოს რომ დაგამარცხოს. ამიტომაც ეკვეთა დღეს ერის საფუძველს, მის ძირებს.

დებო და ძმებო! ერი, რომლისთვისაც XX საუკუნის ბოლოს ყველაზე მწარე და ძლიერი ლახვარი ღვთის სახლის ხელყოფაა, უკვდავია.

---

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიო ხალხებისა და პარლამენტებისადმი სამაჩაბლოდან ლტოლვილი პედაგოგების შეკრების მონაწილეთა

# მიმართვა

უკვე მეოთხე თვეა ქ. ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობა იძულებულია დატოვოს მშობლიური ადგილები კბილებამდე შეიარაღებული, გამხეცებული ოსი ტერორისტული ბანდების თავდასხმებისაგან თავდაცვისა და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით.

ოსმა ბანდიტებმა გადაწვეს ცხინვალის ორივე ქართული სკოლა და ქართველთა 80 საცხოვრებელი სახლი. მათ მიერ მოკლულია 32 ქართველი, მათ შორის უმრავლესობა ულმობელი წამებით, ასე მაგალითად: ცხინვალში, ხუცორის ქ. № 4-ში მცხოვრები ა. ქაია შეკრეს და საკუთარ სახლში დაწვეს; სოფელ საცხენეთში მცხოვრები ე. ხადური ცეცხლმსროლელი იარაღით ორივე ფეხში დაჭრეს, ჭრილობაში თოკი გაუყარეს, გამოაბეს გაჭენებულ ცხენს და ასე მოკლეს; ოთხი ქართველი ახალგაზრდა ცეცხლმსროლელი იარაღით დაჭრეს, მიაბეს ხეზე და ცოცხლად დაწვეს; მამის თვალწინ გააუპატიურეს მცირეწლოვანი გოგონა. ამჟამად ცხინვალში ქართული მოსახლეობა პრაქტიკულად აღარ არსებობს.

მეოთხე თვეა სოფლები: თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ხეითი, ძარწემი, ქემერტი და სხვები ოსების მიერ მოწყობილ მკაცრ ბლოკადაში იმყოფებიან და მთლიანად მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს. ქართველების მიერ ბლოკადის გარღვევის ყოველგვარი მცდელობა აღიკვეთება ოსი „ბოევიკების“ ან მათი ხელშემწყობი სსრკ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ჯავის (ყოფილი ზნაურის) რაიონის ქართული სოფლები.

ოსი ექსტრემისტები აქტიურად იარაღდებიან როგორც კერძო საშუალებებით, ასევე სამხედროების უშუალო ხელშეწყობით. სამხედროები მათ ამარაგებენ არა მარტო თანამედროვე ცეცხლმსროლელი იარაღითა და ტყვია-წამლით, არამედ ახობით ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით, რომლებითაც ისინი თავს ესხმიან ქართულ სოფლებს. ბანდიტები დაუფარავად იყენებენ საბჭოთა არმიის ჯავშანტრანსპორტიორებს როგორც სამგზავრო საშუალებებად, ისე ყაჩაღური რეიდების მოწყობისათვის. ამავე დროს, ვერტმფრენთა ის პოლკი, რომელიც დისლოცირებულია ცხინვალში, წინააღმდეგობას უწევს საქართველოს ავტოინსპექციის ვერტმფრენებს ალყაშემორტყმული ქართული სოფლებისათვის ჰუმანური დახმარების გაწევაში.

ყოველივე ეს სრულ მორალურ უფლებას გვაძლევს, განვაცხადოთ:

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები გამოუცხადებელ ომს აწარმოებენ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა არ დათმო კარსმომდგარი თავისუფლება და უარი განაცხადა სსრკ-ს ახალ ფსევდოფედერაციაში გაერთიანებაზე.

— ზემოთ აღნიშნული სისხლიანი დანაშაულისათვის სრული პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრებათ როგორც სსრკ-ს პრეზიდენტს, ისე მისი ნების მორჩილ სსრკ-ს უზენაეს საბჭოსა და რსფსრ-ს სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

ცენტრალურ პრესასა და ტელევიზიაში გაჩაღებული გაშმაგებული ანტიქართული კომპანია წარმოადგენს პროლოგს კიდევ უფრო მეტი სისხლისმღვრელი აქციისას ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ, სამაჩაბლოდან ლტოლვილ პედაგოგთა შეკრების მონაწილენი, კატეგორიულ პროტესტს ვუცხადებთ კრემლის შეგნებულ, პროვოკაციულ, ანტიქართულ პოლიტიკას, რომელსაც წარმართავს პირადად პრეზიდენტი გორბაჩოვი.

მოვუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს, დაიცვან ჩვენი ოჯახები და დაგვეხმარონ მშობლიურ მიწაზე მშვიდობის აღდგენაში.

მოვუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ მსოფლიოს სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

კრების მონაწილეთა 587 ხელმოწერა.

თბილისი. 04.04.91 წ.

---

**ამ რამდენიმე ხნის წინ რუსეთში გაფიცული მაღაროელებისთვის საქართველოდან გაიგზავნა ძღვენი. ორიოდე დღის უკან კი მოვიდა წერილები მადლობის ნიშნად.**

მუშათა კომიტეტი
652500 ქ. ლენინსკ-კუზნეცკი
კემეროვოს ოლქი
კიროვის გამზ. 22
5.04.91 წ.

ქალაქის (საგაფიცვო) მუშათა კომიტეტის დავალებით

ძვირფასო მეგობრებო!

სულით და გულით გიცხადებთ მადლობას. ჩვენ დავადექით ბრძოლის გზას, რათა ყველა რესპუბლიკის ჭეშმარიტ სუვერენიტეტებს მივაღწიოთ, ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ, ხელისუფლებაზე სკკპ-ს მონოპოლიის ლიკვიდაცია მოვახდინოთ. ყველა ხალხსა და ყოველ ადამიანს ვუსურვებთ ბედნიერებას.

გისურვებთ გამარჯვებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებაში. დიდი მადლობა გაწეული დახმარებისათვის.

როცა ერთად ვართ — უძლეველნი ვართ.

ს. ა. სკოროდელოვი

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის

# განცხადება

1991 წლის 9 აპრილს, როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ე. წ. ლიტვური გზის მიმართ და ამჯერად აღარ გავიმეორებთ, თუ რატომ მიგვაჩნია „დამოუკიდებლობის დეკლარაციები“ მიზანშეუწონლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისათვის.

სამაგიეროდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საქართველოს დეოკუპაცია ეროვნული დაუმორჩილებლობის გზით უნდა განხორციელდეს.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ მიუხედავად პოზიციათა სხვაობისა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უაღრესად დაძაბული დამოკიდებულებისა ჩვენსა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს უზენაეს საბჭოს ყოველნაირად ხელს შეუწყობს ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებასა და საქართველოს დამპყრობლებისაგან განთავისუფლებაში, თუ, რა თქმა უნდა, უზენაესი საბჭოს სერიოზულად აპირებს ჩვენი რეალური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ამ ერთადერთ გზაზე შედგომას.

ჩვენთვის მთავარია არა ის, თუ ვინ გაანთავისუფლებს საქართველოს, არამედ ის, თუ როდის განთავისუფლდება ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო. საქართველოს განთავისუფლების ერთადერთ რეალურ საშუალებად კი სწორედ ეროვნული დაუმორჩილებლობა მიგვაჩნია, რამეთუ მსგავსი მოვლენები აჩქარებენ იმპერიის რღვევის პროცესს, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყვეს შედეგად.

დაუმორჩილებლობის გზით — ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ!

ღმერთი შეეწიოს მებრძოლ საქართველოს!

**(გაერთიანებული) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ იგი, მიუხედავად დაპირისპირებისა, მომავალში მხარს დაუჭერს უზენაეს საბჭოს ეროვნული დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახეთი განცხადება განცვიფრებას იწვევს, ვინაიდან საქართველოში ეროვნულ-დაუმორჩილებლობა უკვე დიდი ხნის დაწყებულია, რისი უმძლავრესი გამოვლინებაც იყო 4-9 აპრილის მოვლენები, შემდგომში დიდი გაფიცვები და აქციები, სამტრედიის რკინიგზის აქცია გასული წლის ივლისისა, რომელმაც აიძულა კრემლი საქართველოში დაეშვა თავისუფალი არჩევნები. გარდა ამისა თვითონ არასაბჭოური დემოკრატიული არჩევნები, კომუნისტური რეჟიმის გაუქმება, ახალი წყობილების შექმნა საქართველოში და ბოლოს დამოუკიდებლობის გამოცხადება — ეს ყოველივე ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოვლინებაა. რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, იგი არათუ მხარს უჭერდა მრგვალ მაგიდას ბოლო აქციებში, არამედ გამუდმებით ებრძოდა და ცდილობდა მისთვის სახელის გატეხვას. ასე რომ, ახლაც საეჭვოა ჩვენთვის მისი მხრით რაიმე მხარდაჭერა ეროვნულ-დაუმორჩილებლობის შემდგომ აქციებში.

**მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები.**

1991 წლის 11 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო კავკასიის ნაწილი



## „ეს არის სანთლის დანთება კავკასიის ტაძარში"

### ბატონი ისა ქაძოევი. ინგუში მწერალი

**ჩვენი მეზობლები**

**ინგუშეთს** არასოდეს გაუმიჯნავს საკუთარი თავი საერთო კავკასიური, მეტადრე კი საქართველოს პრობლემებისგან, რადგან მეფე ფარნავაზის დროიდან მოყოლებული ჩვენი ხალხები ერთი ისტორიული გზით მოდიან. აქ, ჩემს გვერდით არიან ინგუშეთის სხვადასხვა თემთა წარმომადგენლები, რომელთა შორისაც ბევრს ნათესაური ძაფები აკავშირებთ ქართულ არისტოკრატიასთან. ჩვენი ისტორია გადაჯაჭვული იყო და მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში, ანექსიის შემდეგ შეიცვალა ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების ფსიქოლოგია. დროა მივუბრუნდეთ ჩვენს ძირებს. აღვადგინოთ ჩვენი არსი — ერთობა და თავისუფლება.

დღეს რაც თქვენთან ხდება, ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას გენიალური ნაბიჯია. მაგრამ ყველაფერი ეს ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ზვიად გამსახურდია არ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო საქართველო. ხოლო საქართველო დღეს ის არ იქნებოდა, რაც არის, ზვიად გამსახურდიას გარეშე.

როდესაც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მე ვთქვი, რომ საქართველოს სჭირდება ერთობა. მაშინ მისმა ოპონენტებმა მიპასუხეს, რომ ზვიად გამსახურდია ერთიანობის წინააღმდეგია. მე მოვიყვანე ბუნებიდან აღებული მაგალითი — როგორც პატარ-პატარა მდინარეები ერთვის მტკვარს, რომელიც ზღვაში ჩაედინება, ასევე ზვიად გამსახურდია იკრებს ყველა იმ ძალას, რომელსაც თავისუფლებისკენ მიჰყავს საქართველო. თქვენ დაიღუპებით, თუ მას არ გაჰყვებით.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რისთვისაც მე მხარს ვუჭერ ზვიად გამსახურდიას — კეთილშობილი წარმომავლობა (ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიაში), პატრიოტი მამა, რომელიც მთელი ცხოვრება თავისუფლებისთვის იბრძოდა... და რაც დღეს ხდება საქართველოში...

ეს არის სანთლის დანთება კავკასიის ტაძარში. ვინც საქართველოს მხარში არ ამოუდგება სიტყვით, საქმით თუ ლოცვით, ის მთელ კავკასიას უღალატებს. უნდა შევქმნათ ერთიანი კავკასიური კერა.

### ბატონი ნუგზარ მგალობლიშვილი. დეპუტატი სოხუმიდან

**ჩვენი ძმები**

**საქართველოს** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი ქართველთა და აფხაზთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, საუკუნეებით განმტკიცებული ურთიერთობის აღდგენისაკენ.

1921 წლამდე, საქართველოს ანექსიამდე თუ გასჩენია რაიმე ხინჯი აფხაზთა და ქართველთა ძმობას, ურთიერთპატივისცემას? გავიხსენოთ, თუნდაც გიორგი შერვაშიძის ურთიერთობა წარჩინებულ ქართველ მოღვაწეებთან. ჩვენ მუდამ ერთად ვებრძოდით მომხდურს და ახლაც საერთო მტერი გვყავს. საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოცილების მოსურნე ქართველთა და აფხაზთა მტერია.

რეფერენდუმმა ნათლად გვიჩვენა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა დამოუკიდებელი საქართველოს მომხრეა. ერთიანი, განუყოფელი საქართველოს აღორძინებით აფხაზთა და ქართველთა ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდება.

ჩვენი ძმობა აღდგება და სიყვარული გაგვაერთიანებს.

### ბატონი ტარიელ ფუტკარაძე. ბათუმის პრეფექტი

**ჩვენ**

**დღევანდელი** დღისთვის აჭარა მზად იყო. ეს ძალიან კარგად გამოამჟღავნა რეფერენდუმმაც. აჭარა ადრეც მზად იყო ამისთვის, მაგრამ ყოფილი ხელისუფლება ყველანაირად ჩქმალავდა ამ მზადყოფნას და ცდილობდა სრულიად სხვა იერი მიეცა ამ განწყობილებისთვის. გარკვეულ ძალებს ხელს აძლევდა სიტუაციის გამუქება აჭარაში, რათა დიდი ფასი დასდებოდა და აზრი მისცემოდა მათ „მოღვაწეობას".

აჭარაში დანიშნულია 6 პრეფექტი, რომლებიც ხალხის აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობენ. ესეც ჩემი სიტყვების დასტურია.

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აჭარაში დაიწრიტა, ყველაზე ბოლოს ბათუმში ჩამოეშვა საქართველოს დამოუკიდებლობის ალამი. სამაგიეროდ, იმპერიული ურჩხულიც აჭარაში დაეცა ყველაზე ბოლოს. ჩვენი საუბარიც სიმბოლურია — ბათუმის პრეფექტი პირველი ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობას „თავისუფალი საქართველოს" მკითხველებს.

მჯერა, სხვა კუთხეებზე მეტად თავისუფლებას დანატრებული აჭარის მკვიდრნი დაიცავენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, საქართველოს თავისუფლებას. აჭარა იყო პირველი ფარი საქართველოში და ასე იქნება კვლავაც.

პირადად ჩემთვის, საქართველო იწყება აჭარაში და მთავრდება საინგილოში.

„თავისუფალი საქართველოს" ამ ნომრის შემოსავალი გადაირიცხება ეროვნული გვარდიის ფონდში

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-31-57

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ინდექსი 66421

ფასი 50 კაპ.